



ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი  
THE LEVAN MIKELADZE FOUNDATION

*პროექტი "საქართველოს მომავალი"*

# დაყოფილი საქართველო: პოლარიზაციის მძევალი

არჩილ გეგეშიძე და თომას დე ვაალი

## სარჩევი

შესავალი	1
ისტორიული მიმოხილვა	3
პოლარიზაციის საფუძვლები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში	5
პოლარიზაცია თანამედროვე პოლიტიკაში	8
საზოგადოებრივი განხეთქილება: ტრადიცია VS მოდერნიზაცია	12
დასკვნა და რეკომენდაციები	14
ავტორების შესახებ	17
შენიშვნები	17

## შესავალი

თანამედროვე საქართველოს მკვეთრი პოლარიზაცია ახასიათებს, რაც გამოიხატება როგორც ყოველდღიურ პოლიტიკურ ცხოვრებაში, ისე საზოგადოებრივი ღირებულებების დაპირისპირებასა და უთანხმოებაში ქვეყნის სამომავლო კურსთან დაკავშირებით.

1980-იანი წლების ბოლოდან მოყოლებული, საქართველოს შიდაპოლიტიკური დისკურსი აგრესიულობითა და გათიშულობით გამოირჩევა. ეს ის პერიოდია, როდესაც იწყება საბჭოთა კავშირის დაშლის პროცესი და ჩნდება კონკურენტული პოლიტიკის წარმოების პირველი შესაძლებლობები. პოლიტიკასა და საზოგადოებაში პოლარიზაცია დიდწილად 1990-იან და 2000-იან წლებშიც შენარჩუნდა. ბოლო ათწლეულის განმავლობაში ქვეყნის პოლიტიკაში ჭარბობს გაცხარებული დაპირისპირებები საქართველოს ორ პოლიტიკურ პარტიას - „ქართულ ოცნებას“ და „ერთიან ეროვნულ მოძრაობას“, აგრეთვე მათ დამფუძნებლებსა და დე ფაქტო ლიდერებს - ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილს შორის. უკიდურესად მიკერძოებული სატელევიზიო პლატფორმების გამოყენებით ამ ორი პარტიის წევრი პოლიტიკოსები ერთმანეთის მიმართ აქტიურად მიმართავენ შეურაცხყოფელ და სიძულვილის ენას.<sup>1</sup> ერთმანეთის დადანაშაულება „მოღალატეობრივ“ ქმედებებში, პოლიტიკოსების პირადი ცხოვრების საჯაროდ გამომზეურება და მეორე მხარის შეურაცხყოფა გავრცელებულ პრაქტიკად იქცა, რაც, თავის მხრივ, ხელს უწყობს ქვეყანაში დემოკრატიის დადმასვლას.

ამგვარი გათიშულობა საქართველოს დასავლელ პარტნიორებში სერიოზულ შეშფოთებას იწვევს და მნიშვნელოვან წინაღობას უქმნის ქვეყნის გაცხადებულ ამბიციას დემოკრატიული ინსტიტუტების განვითარებისა და ევროკავშირისა და აშშ-სთან მჭიდრო ურთიერთობების ჩამოყალიბების მიმართულებით. 2019 წელს დონალდ ტრამპმა, ევროპის საბჭოს მაშინდელმა პრეზიდენტმა, საქართველოს მოსახლეობას ასე მიმართა: „მოგმართავთ გულწრფელი თხოვნით: არ დაუშვათ გახლეჩა. მხოლოდ ერთად დგომით გაუძლებთ დროის გამოცდას.“<sup>2</sup>

პოლიტიკურ პოლარიზაციას თან სდევს საზოგადოების გახლეჩაც. საქართველო იმ ქვეყანებს მიეკუთვნება, სადაც საზოგადოებაში მიმდინარეობს „კულტურის ომები“ სოციალური, კულტურული და რელიგიური მრავალფეროვნების მომხრეებსა და საზოგადოების იმ ნაწილს შორის, რომელიც საკუთარ თავს ტრადიციული ღირებულებების დამცველად მიიჩნევს. ამკარაა პოლიტიკოსების მიერ იდენტობებს შორის დაპირისპირების ინსტრუმენტალიზაციის შემაშფოთებელი ნიშნები. 2021 წლის ივლისში დაპირისპირება ძალადობაში გადაიზარდა, როდესაც პროტესტის მონაწილეები შეეცადნენ თბილისის გეიპრაიდის მსვლელობის დარბევას.

რას გულისხმობს „პოლარიზაცია“, მოვლენა, რომელიც მთელ მსოფლიოში ვრცელდება, ტაილანდიდან დაწყებული ვენესუელითა და ამერიკის შეერთებული შტატებით დამთავრებული? ამ საკითხის შესახებ ჯენიფერ მაკკოი და მურატ სომერი საინტერესო მოსაზრებებს გვთავაზობენ.<sup>3</sup> ისინი აღნიშნავენ, რომ პოლარიზაცია, გარკვეული თვალსაზრისით, დადებითი მოვლენაა, რადგან იგი მოიაზრებს მსჯელობას, კამათსა და პოლიტიკის არჩევანს მოქალაქეებისთვის, რაც ქმნის დემოკრატიული საზოგადოების

წინაპირობას. პოლარიზაცია საშიში ხდება მაშინ, როდესაც დაყოფა იმდენად შორსწასულია, რომ უკვე თავად დემოკრატიულ პროცესებს აყენებს საფრთხის ქვეშ. მაკკოი და სომერი იყენებენ ტერმინს „მაგნე პოლარიზაცია“ იმ მდგომარეობის აღსაწერად, რომელიც თავისი ბუნებით რადიკალური და საზოგადოებისთვის დამაზიანებელია. ისინი ასევე ამტკიცებენ, რომ კეთილდღეობა არ წარმოადგენს ამგვარი ექსტრემალური პოლარიზაციის შემამსუბუქებელ გარემოებას, რასაც ადასტურებს ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითი.

იდეოლოგიური განსხვავებები ყოველთვის არ არის ამგვარი დაპირისპირებების მდგენელი. უკიდურესად პოლარიზებულ ქვეყნებში მოწინააღმდეგე ჯგუფებს შორის დაპირისპირება ხშირად საკუთარ თავს კვებავს და ამით ქმნის იმ იდენტობებს, რომლებსაც სწორედ ამგვარი დაპირისპირება აყალიბებს. მაკკოი და სომერი ამტკიცებენ, რომ

„პოლარიზაციის ძირითადი მახასიათებელი ყოველთვის იდეოლოგიური ან სოციალური დისტანცირება კი არ არის, როგორც ეს ტრადიციული განსაზღვრებებითაა ნაგულისხმევი, არამედ ის, თუ რამდენად ამარტივებს პოლარიზაციის პროცესი ჩვეულებრივ რთულ პოლიტიკურ და სოციალურ ურთიერთობებს. ამგვარი გამარტივება პოლარიზაციის პირობებში ხდება სხვა მხრივ ერთმანეთთან დაუკავშირებელი დაყოფების გაერთიანებით, გამჭოლი განხეთქილებების გაღრმავებით და საზოგადოებისა და პოლიტიკის დაყოფით ორ ერთმანეთის მოწინააღმდეგე და შეუპოვარ ბანაკად.“<sup>4</sup>

საქართველო მხოლოდ ნაწილობრივ შეესაბამება ამ მოდელს. აქ მიმდინარე კულტურული დაპირისპირებები ეხება ქვეყნის მომავალთან დაკავშირებულ ყველაზე მნიშვნელოვან საკითხებს. თუმცა, ბოლო პერიოდამდე ეს საკითხები ძალზე მცირე დოზით აისახებოდა პოლიტიკურ დებატებში, რომლის ფარგლებშიც ორი ძირითადი პარტია ცდილობს ამომრჩევლების გადაბირებას ერთდროულად კონსერვატორული და პროგრესული იმიჯის შექმნით და იმ ენის გამოყენებით, რომელიც თავსებადია როგორც ქართულ ტრადიციონალიზმთან, ისე ევროინტეგრაციასთან. ეს ორი ძირითადი პარტია იდეოლოგიურად მკვეთრად არ განსხვავდება ერთმანეთისგან, ორივე მათგანი ეფუძნება ელიტურ - ზემოდან ქვემოთ მართულ - პოლარიზაციას. ეს არის დაპირისპირება ორი პოლიტიკური პარტიის ირგვლივ დაჯგუფებულ „ორ განსხვავებულ, მოწინააღმდეგე და შეუპოვარ ბანაკს“ შორის, რომლებსაც მტკიცედ აქვთ განზრახული ერთმანეთის განადგურება და, როგორც გამარჯვებულებს, მთლიანი ნადავლის დასაკუთრება.

წინამდებარე დოკუმენტის მიზანია გამოვავლინოთ საქართველოში პოლარიზაციის დამახასიათებელი თვისებები და კავშირები, რომლებიც არსებობს პოლიტიკურ დაყოფასა და კულტურულ დაპირისპირებებს შორის. პირველ ნაწილში განხილულია საქართველოს პოლიტიკური კულტურის ისტორიული საფუძვლები. შემდეგ ნაწილში წარმოდგენილია პოლიტიკური პოლარიზაცია საქართველოს დამოუკიდებლობის შემდგომ პერიოდში, 1989-1991 წლებიდან მოყოლებული, როდესაც ეროვნულ მოძრაობაში დაპირისპირების ნიშნები გაჩნდა. მესამე ნაწილი თანამედროვე პოლიტიკურ განხეთქილებებს ეხება, ხოლო ბოლო ნაწილში საუბარია იმაზე, თუ რამდენად არის საქართველოში მიმდინარე

„კულტურის ომი“ და ევროპელობის აღქმა დაყოფის წყარო. დოკუმენტი სრულდება დასკვნითა და რამდენიმე რეკომენდაციით.

## ისტორიული მიმოხილვა

საქართველოში პოლარიზაციის პარადოქსს ის ფაქტი ქმნის, რომ ეს ხდება საზოგადოებაში, რომელიც საბჭოთა კავშირის რღვევის დაწყებისთანავე გაერთიანდა ახალი ქართული სახელმწიფოს შენების, როგორც საერთო მიზნის, ირგვლივ. როგორც ნინო ლეჟავა აღნიშნავს “კარნეგი ევროპისა” და ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის ერთობლივი პროექტისთვის „საქართველოს მომავალი“ მომზადებულ ესეიში,

„1988 და 1991 წლებს შორის პერიოდში საქართველოს უმთავრეს პოლიტიკურ პროექტს საბჭოთა კავშირის დატოვება და ქვეყნის სუვერენიტეტის აღდგენა წარმოადგენდა. ქართველების უმეტესობა დამოუკიდებლობის იდეალის ერთგული დარჩა, მიუხედავად სოციალურ-ეკონომიკური კრიზისებით გამოწვეული შოკისა და პოლიტიკური არასტაბილურობისა, რომლის დროსაც მოსახლეობის მხოლოდ მცირე ნაწილმა შეძლო ეკონომიკური უსაფრთხოების მიღწევა ან მისი შენარჩუნება.“<sup>5</sup>

ამ ეროვნული პროექტის თითქმის უნივერსალურმა ერთგულებამ მრავალი უთანხმოება შენიღბა. პოსტსაბჭოთა ქართველები კვლავაც ვერ შეთანხმებულან იმის თაობაზე, თუ როგორი უნდა იყოს მათი ერი-სახელმწიფო, ვინ არიან მისი მეგობრები და ვინ - მტრები, რომელი ეთნიკური ჯგუფები უნდა ჩაერთონ ან, პირიქით, გაირიცხონ ამ ეროვნული პროექტიდან. „იგი იყო საერო, პროდასავლური და მიილტვოდა დემოკრატიისა და ევროპის ერთა ოჯახში წევრობისკენ. ამავე დროს, ეს იყო კულტურული მოძრაობა, რომლის ფესვები მითოლოგიური წარსულისკენ მიდიოდა“, წერს სტივენ ჯონსი 1989 წელს ჩამოყალიბებული დამოუკიდებლობის მოძრაობის შესახებ.<sup>6</sup>

სწორედ ამ ფენომენზე წერს ნუცა ბათიაშვილი წიგნში „ორხმოვანი ერი.“ ავტორს მიაჩნია, რომ „ეროვნულობა წარმოდგენილია არა იმდენად, როგორც მსგავსი ინდივიდების სოლიდარობა, არამედ როგორც ფრაგმენტულობა და მუდმივი დაძაბულობა, რომელიც „ჩვენ“-ის სხვადასხვა ვერსიებს შორის არსებობს.“<sup>7</sup> იგი ასევე ამახვილებს ყურადღებას ეროვნული დისკურსის იმ მოტივზე, რომელიც პერიოდულად ჩნდება და რომელიც ქართველებს დაუცველ ერად წარმოაჩენს. საქართველოს სკოლებისთვის დაწერილი ისტორიის სახელმძღვანელოების ანალიზის საფუძველზე ავტორი გამოკვეთს მუდმივ თემას, რომლის მიხედვითაც ქართველები უძველესი ცივილიზაციის მცირერიცხოვანი ერია, რომელიც მეზობელი იმპერიების წინააღმდეგ გამოჩენილი გამირული სიმტკიცის წყალობით გადარჩა.<sup>8</sup>

ეს თემა საბჭოთა საქართველოშიც კი შენარჩუნდა. 1943 წელს გამოცემული „საქართველოს ისტორიის“ შესახებ კლერ პოგ კაიხერი წერს, რომ

„ეს არის ეპოსად დაწერილი ისტორია, რომელიც სავსეა მტრებითა და მოღალატეებით, გმირებითა და წამებულებით და ველურებისგან

ცივილიზაციის დაცვის ამბებით. სახელმძღვანელოს ნარატივი გაჯერებულია ბრძოლის თემატიკითა და ენით, როდესაც საქმე ეხება ქართული ტომების ბრძოლას დამოუკიდებლობის, ერთობისა და გაერთიანებისკენ „სპარსელების,“ „არაბების,“ „მონღოლების,“ „თემურლენგის,“ „ირანისა“ და „ოსმალეთის იმპერიის“ წინააღმდეგ, უხეში ქრონოლოგიური მიმდევრობის მიხედვით.“<sup>9</sup>

რადგანაც უცხოელი დამპყრობლების წინააღმდეგ გაჩაღებული ეს ბრძოლა პერიოდულად მარცხითაც მთავრდებოდა, გაჩნდა დაბრალების - მოღალატეებისა და შიდა მტრების ძიების - ტრადიცია. ღალატთან დაკავშირებული ენა ასევე ეფუძნება საბჭოთა პოლიტიკურ რიტორიკას, რომელიც მოწინააღმდეგეებს „ხალხის მტრებად“ და „მეხუთე კოლონად“ მოიხსენიებდა. 1980-იან წლებში, ეროვნული მოძრაობის ჩამოყალიბებიდან მოყოლებული, ამ საკითხების ირგვლივ დისკუსიის ცენტრში ექსკლუზიურად რუსეთი დგას. მიუხედავად იმისა, რომ თითქმის ყველა მხარე უარყოფს მოსკოვთან ალიანსს ან კავშირს, მაინც არსებობს დაპირისპირება ორ ბანაკს შორის: პირველი ემხრობა სრულ განცალკევებას რუსეთისგან, მაშინაც კი, როდესაც ეს ნაბიჯი რუსეთის ანტაგონიზებას გამოიწვევს, ხოლო მეორე მხარს უჭერს მეზობელთან ნორმალური ურთიერთობების ჩამოყალიბებას, როგორც პრაგმატულ პოლიტიკას და როგორც აუცილებელ ბოროტებას.

ამგვარად, 1989-1991 წლებში ნაციონალისტი ლიდერი ზვიად გამსახურდია ბრალს სდებდა ქვეყნის კულტურისა და განათლების სფეროების გარკვეულ წარმომადგენლებს, რომლებსაც ის „წითელ ინტელიგენციად“ მოიხსენიებდა საბჭოთა კავშირის დროს პრივილეგირებული მდგომარეობის გამო, პრორუსულობასა და მოღალატეობაში. კიდევ ერთი ყბადაღებული დისკუსიის თემაა ერეკლე მეორის ისტორიული როლი. ერეკლე მეორემ 1783 წელს რუსეთთან შეთანხმებას მოაწერა ხელი, რომლის მიხედვითაც ქვეყანამ საკუთარი სუვერენიტეტის დიდი ნაწილი დათმო რუსეთის მფარველობის სანაცვლოდ. რუსეთთან ურთიერთობების მართვის თაობაზე განსხვავებული შეხედულებების მქონეთა მიერ სხვადასხვა ინტერპრეტაცია ეძლევა ერეკლეს გადაწყვეტილებას.<sup>10</sup>

ორ ძირითად პარტიას შორის ამჟამად არსებულ დაპირისპირებაში ორივე მათგანი მხარს უჭერს ევროატლანტიკურ ინტეგრაციას, „ქართული ოცნება“ რუსეთთან უფრო პრაგმატული მიდგომის მომხრეა, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ - უფრო რადიკალურისა. გარდა ამისა, უკიდურესად პოლარიზებულია ისეთი საკითხები, რომლებიც ეხება თითოეული პარტიის ერთგულებას დასავლური იდეის მიმართ, ტაქტიკას და გეოპოლიტიკური განსხვავებების აღქმას.

„ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერისა და საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის, მიხეილ სააკაშვილისთვის, რუსული საფრთხე მისი პოლიტიკური რიტორიკის ლაიტმოტივია. მან პირად მტერსა და „ქართული ოცნების“ ლიდერს, ბიძინა ივანიშვილს, „პუტინის ხელის ბიჭი“ უწოდა.<sup>11</sup> 2013 წელს, გაერთიანებული ერების ასამბლეაზე გამოსვლისას, სააკაშვილმა განაცხადა, რომ საქართველომ „ძლივს გადარჩა“ ხუთი წლის წინ რუსეთთან ომის დროს და რომ ქვეყნის დამოუკიდებლობას ჯერ კიდევ ემუქრებოდა საფრთხე:

„საუკუნეების მანძილზე ჩვენ ერთადერთი ქვეყანა ვართ, რომელმაც შეძლო საკუთარი სახელმწიფოებრიობისა და

დამოუკიდებლობის შენარჩუნება, მიუხედავად ასი ათასიანი რუსული არმიის ფართემასშტაბიანი შემოტევისა, რომლის დროსაც ჩვენ 200 თვითმფრინავი გვბომბავდა და გვიტეკდა რუსეთის შავი ზღვის ფლოტი და ათასობით დაქირავებული მებრძოლი. ამ ყველაფრის მიუხედავად, ჩვენი დამოუკიდებლობა და სახელმწიფოებრიობა გადარჩა. მაშ, ნუ გავრისკავთ მათ დაკარგვას ახლა, მშვიდობის ჟამს.“<sup>12</sup>

2019 წლის ივნისში ორი მხარე ერთმანეთს „გავრილოვის დამის“ სახელწოდებით ცნობილი ეპიზოდის გამო დაუპირისპირდა. ვნებათაღელვა გამოიწვია რუსეთის დუმის წევრის, სერგეი გავრილოვის, იმ სავარძელში ჩაჯდომამ, რომელიც, პროტოკოლის მიხედვით, პარლამენტის თავმჯდომარეს ეკუთვნის. სწორედ ამ სავარძლიდან წარმოთქვა გავრილოვმა სიტყვა, რომელშიც ხოტბა შეასხა ძმობას საქართველოსა და რუსეთს შორის. ამ ფაქტმა მძაფრი რეაქცია გამოიწვია ქართული საზოგადოების იმ სეგმენტში, რომელიც მკვეთრი ანტირუსული სენტიმენტებით გამოირჩევა და ბიძგი მისცა ფართომასშტაბიან საპროტესტო გამოსვლას პარლამენტის შენობის მიმდებარედ. პოლიციის სპეცდანაყოფის მიერ პროტესტის დაშლის მცდელობის შედეგად ათობით ადამიანი დაშავდა.

რუსეთისგან მომდინარე რეალურმა საფრთხემ ბოლო სამი ათწლეულის განმავლობაში გავლენა იქონია ქართველების დამოკიდებულებაზე ეროვნული უმცირესობებისა და სეპარატისტული რეგიონების მიმართ. კერძოდ, სწორედ ამ ფაქტორის გამო, როგორც უმცირესობების, ასევე სეპარატისტული რეგიონების მიმართ წარმოებული პოლიტიკა განიხილება ექსკლუზიურად უსაფრთხოებისა და რუსეთთან ურთიერთობის პერსპექტივიდან. 2020 წელს პროექტის „საქართველოს მომავალი“ ფარგლებში საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ეთნიკურად ქართველი რესპონდენტების 51 პროცენტის შეხედულებით „დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ გაჩაღებული სეპარატისტული ომები ადასტურებს, რომ ეთნიკური და ენობრივი უმცირესობები წარმოადგენენ საფრთხეს ქვეყნის უსაფრთხოებისთვის.“ ნათია ჭანკვეტაძისა და ქეთევან მურუსიძის მიხედვით, აფხაზურ და სამხრეთოსურ კონფლიქტებში რუსეთის ფაქტორზე აპელირება, რომელსაც თან სდევს აფხაზურ და ოსურ საზოგადოებაში საქართველოს, როგორც საფრთხის, აღქმა, აფერხებს დიალოგს მხარეებს შორის: „ეს მუდმივად თვითქმნადი რადიკალური ნარატივები კომფორტის ზონას უქმნის თითოეულ საზოგადოებას, რადგანაც მათი გადახედვის და კრიტიკული გააზრების მცდელობა „ეროვნული ინტერესების“ დაზიანების შიშს იწვევს.“

## პოლარიზაციის საფუძვლები საბჭოთა და პოსტსაბჭოთა საქართველოში

შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ამჟამად არსებული ღრმა პოლიტიკური პოლარიზაციის ფესვები მომდინარეობს იმ განხეთქილებიდან, რომელიც განმათავისუფლებელ მოძრაობაში 1980-იანი წლების ბოლოს გაჩნდა. ამ პერიოდიდან მოყოლებული, პოლიტიკურ ცხოვრებას ქარიზმატული ლიდერები და ოპოზიციასთან მათი დაპირისპირება განსაზღვრავს. ეს ტენდენცია სხვა პოლარიზებულ ქვეყნებსაც

ახასიათებთ. პარადოქსულია, რომ მკვეთრად ანტისაბჭოთა რიტორიკის მიუხედავად, ლიდერების პოლიტიკური კულტურა ნასაზრდოები იყო საბჭოთა საქართველოს მემკვიდრეობით, რომელმაც, ნაცვლად სახელმწიფო ინსტიტუტებისა, პატრონაჟული ქსელების ძლიერი ტრადიცია ჩამოაყალიბა. სტივენ ჯონსის მიხედვით,

„სახელმწიფოს მიმართ უნდობლობამ პატრონების იმედი გააჩინა ეკონომიკაში, საჯარო სამსახურსა და პოლიტიკურ პარტიებში, ხოლო პოლიტიკურ სივრცეში ქარიზმა გახადა ძალაუფლების წყარო. ქართველთა უმეტესობა იდენტიფიცირებას ძლიერ ლიდერებთან ახდენს და მათ ენდობა (ეს საქართველოს დიდი მეფეების - დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფისადმი ნოსტალგიით აიხსნება) და არა პარტიებს ან ინსტიტუტებს.<sup>13</sup>“

პირველი ასეთი ლიდერი გახლდათ ქვეყნის პირველი პრეზიდენტი ზვიად გამსახურდია - ქარიზმატული, შეთქმულებების მოშიში და ქსენოფობი, რომლის მიმართაც მკვეთრად წინააღმდეგობრივი დამოკიდებულებები არსებობდა. გამსახურდიას ავტორიტეტი მას შემდეგ აღზევდა, რაც თბილისში 1989 წლის 9 აპრილს საბჭოთა ჯარის მიერ მშვიდობიანი დემონსტრაციის დარბევას 20 ადამიანის, ძირითადად ქალების, სიცოცხლე შეეწირა და შედეგად, წინა რეჟიმის რეპუტაცია შეირყა.

9 აპრილის ტრაგედიის შემდეგ როგორც ფართო საზოგადოებაში, ისე პოლიტიკურ ელიტაში გაჩნდა კონსენსუსი საქართველოს დამოუკიდებლობის მხარდაჭერასთან დაკავშირებით. ხელისუფლებამ, მართალია, არაფორმალურად, დაიწყო ძალაუფლების ეტაპობრივი გადაცემა ეროვნული განმათავისუფლებელი მოძრაობის ლიდერებისთვის. გამსახურდიასა და სხვების თაოსნობით ჩამოყალიბდა ეროვნული ფორუმი, რომლის მისიაც ქვეყნის დამოუკიდებლობის აღდგენა იყო. სამწუხაროდ, ფორუმში მალევე იჩინა თავი განხეთქილებამ. ერთი ბანაკი, გამსახურდიას ხელმძღვანელობით, ამტკიცებდა, რომ კომუნისტები უნდა დამარცხებულიყვნენ საყოველთაო არჩევნებში, რომელიც საბჭოთა ხელისუფლებამ 1990 წელს დანიშნა.<sup>14</sup> მეორე ბანაკი კი ამ არჩევნების ბოიკოტირებას და ალტერნატიული ორგანოს - ეროვნული კონგრესის - დაფუძნებას ემხრობოდა.

სწორედ ამ დაპირისპირების დროს დაითესა სამოქალაქო ომის პირველი მარცვლები, რამაც, სავარაუდოდ, გამოიწვია, მაკკოისა და სომერის სიტყვებით რომ ვთქვათ, „მაფორმირებელი მიჯნა.“<sup>15</sup> საკუთარი მოსაზრებების უარყოფა პოლიტიკური თვითმკვლელობის ტოლფასი იყო და ამ ფონზე სრულიად გაუფერულდა რაციონალური აზროვნება და ეროვნული ინტერესები. კომუნისტურ მთავრობას ჩარევის არც შესაძლებლობა გააჩნდა და არც სურვილი. გაჩნდა ძალადობის პირველი აქტები, რომელიც პროვოცირებული იყო ორგანიზებული დანაშაულის წარმომავლობის გასამხედროებელი გჯუფების მიერ. ამ გჯუფებში სიძლიერით გამოირჩეოდა „მხედრიონი“, რომელსაც სათავეში ინტელექტუალი და სამხედრო მეთაური ჯაბა იოსელიანი ედგა.

სტივენ ჯონსი ასახელებს ოთხ ფაქტორს, რომელმაც ძირი გამოუთხარა ახალ ეროვნულ მოძრაობას. ზოგი მათგანი დღემდე ახასიათებს თანამედროვე ქართულ პოლიტიკას. პირველი ფაქტორია კონფლიქტი პიროვნებებს შორის და „სპლიტიზმი“ - დაყოფა, ანუ ვიწრო პარტიული ან ორგანიზაციული პატრიოტიზმი, რომელმაც ერთმანეთთან ძალზე ახლოს მდგომი იდეოლოგიების მქონე პოლიტიკური დაჯგუფებები დაანაწევრა. მეორე



ფაქტორში იგულისხმება ერთმანეთთან კონკურენციაში მყოფი, „ძლიერ ლიდერზე დამყარებული შინაგანად ავტორიტარული პარტიები.“ მესამე ფაქტორს წარმოადგენს აგრესიული ტაქტიკა, „რევოლუციური, საყოველთაო ჩხუბი, უხეში ბრძოლა ძალაუფლებისთვის, ყოველგვარი წესების, ტრადიციისა და პოლიტიკური პროცესის გარეშე. ლიდერების უმეტესობამ მემკვიდრეობით მიიღო დირექტივების გაცემისა და ცილისწამების საბჭოური ჩვევა.“ დაბოლოს, „არ არსებობდა ქართული საზოგადოება, რომელიც შეასრულებდა პარტიების სხვადასხვაგვარ პოლიტიკას შორის მედიატორის როლს: პარტიები იქმნებოდნენ ზემოდან და არ იყო რამე ორგანიზებული სოციალური ინტერესი ან ლობი - ქვემოდან.“<sup>16</sup>

საბოლოოდ, ეროვნული ფორუმი დაიშალა და მის ადგილას, ზვიად გამსახურდიას თაოსნობით, აღმოცენდა „მრგვალი მაგიდა - თავისუფალი საქართველო“ და მისი მოწინააღმდეგე - „ეროვნული კონგრესი,“ რომელსაც სათავეში ირაკლი წერეთელი და გია ჭანტურია ჩაუდგნენ. ორი მოწინააღმდეგე მხარე შეუდგა საკუთარი პროექტის განხორციელებას. ორივე მათგანი მიზნად ისახავდა კომუნისტებისთვის ძალაუფლების ჩამორთმევას. 1990 წლის სექტემბერში ჩატარდა ეროვნული კონგრესის არჩევნები, რომლის შედეგებიც პატრიარქმა ილია მეორემ აკურთხა. ახალ ორგანოში თავი მოიყარეს რადიკალურმა პოლიტიკურმა ძალებმა საქართველოს კულტურული და სამეცნიერო ინტელიგენციის მნიშვნელოვან ნაწილთან ერთად. ამასობაში, გამსახურდიამ წარმატებით იმკვიდრებდა კომუნისტური რეჟიმის ერთადერთი ალტერნატივის იმიჯს და პოლიტიკურ კაპიტალს იძენდა. კონგრესის ლიდერებმა, რომლებსაც ეშინოდათ, რომ ისინი დაკარგავდნენ მათ ხელთ არსებულ არაფორმალურ ძალაუფლებას გამსახურდიას მიერ უზენაესი საბჭოს არჩევნების მოგების შემთხვევაში, ალიანსი შეკრეს „მხედრიონის“ დაჯგუფებასთან.

1990 წლის 28 ოქტომბერს გამსახურდიას „მრგვალმა მაგიდამ“ შთამბეჭდავი გამარჯვება მოიპოვა საქართველოს ისტორიაში პირველ მრავალპარტიულ არჩევნებში, ხოლო კომუნისტები უმცირესობაში აღმოჩნდნენ ახლადარჩეულ უზენაეს საბჭოში. თუმცა, პარალელური „ლეგიტიმური“ სტრუქტურის არსებობა ეროვნული კონგრესის სახით, რომელიც სულ უფრო მეტ არაფორმალურ ძალაუფლებას იხვეჭდა, ორხელისუფლებიანობის პირობებს ქმნიდა. ძალაუფლების ორ ცენტრს შორის ჭიდილი თანდათანობით გაღრმავდა და დაიძაბა, კრიტიკა სიძულვილის ენაში გადაიზარდა, ხოლო დაპირისპირებამ ძალადობრივი ხასიათი მიიღო.

1990 წელს ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ გამსახურდიამ, რომელმაც საზოგადოებისთვის ნაკლებად ცნობილი და მწირი კვალიფიკაციის მქონე კადრები დანიშნა ოფიციალურ თანამდებობებზე, მალევე გადაიმტერა ქვეყნის პროფესიული და კულტურული ელიტა. 1991 წლის ზაფხულში, ოპოზიციის მიერ გამართული დემონსტრაციის დარბევის შემდეგ, დაპირისპირება გამსახურდიას და მის ოპონენტებს შორის ძალადობაში გადაიზარდა. ახლა უკვე ელიტის დიდი ნაწილი დაუპირისპირდა მკვეთრად გამსახურდიას.

1991 წლის მიწურულს თბილისის ცენტრში შეტაკებები დაიწყო. სისხლიანი დაპირისპირება, რომლის დროსაც მხარეები მსხვილი კალიბრის სამხედრო შეიარაღებას იყენებდნენ, ორ კვირას გაგრძელდა და მთავრობის დამხობით დასრულდა. გამსახურდია, უახლოეს გარემოცვასთან ერთად, ქვეყნიდან გაიქცა. ხანმოკლე სამოქალაქო ომმა

დასავლეთ საქართველოში გადაინაცვლა. გამსახურდია, რომელიც ქვეყანაში 1993 წლის ბოლოსთვის დაბრუნდა და შეეცადა ძალაუფლების დაბრუნებას, ისევ დამარცხდა და საბოლოოდ, ბურუსით მოცულ გარემოებებში გარდაიცვალა.

საქართველო კვლავაც ამ პერიოდის მემკვიდრეობით ცხოვრებას განაგრძობს. ხანმოკლე პერიოდის განმავლობაში ავტორიტარული მიდრეკილებების მქონე ნაციონალისტი ლიდერი, რომელიც დემოკრატიული გზით მოვიდა ხელისუფლებაში, ძალადობრივი საშუალებებით იქნა ჩამოშორებული ძალაუფლებას. 2020 წლის გამოკითხვის შედეგების მიხედვით, ქართველების 76 პროცენტი 1992 წელს გამსახურდიას ჩამოგდებას ქვეყნისთვის უარყოფით მოვლენად მიიჩნევს. ხელისუფლებიდან გამსახურდიას ძალადობრივი ჩამოშორება ერთ-ერთი მიზეზია იმისა, რომ თანამედროვე ქართველები შეუწყნარებელ და ქსენოფობ გამსახურდიას ვარდისფერი სათვალთ უყურებენ.

უკიდურესი პოლიტიკური პოლარიზაცია და სამოქალაქო ომი საქართველოს განუზომლად დიდ მორალურ, პოლიტიკურ და ისტორიულ ფასად დაუჯდა. კონფლიქტები სამხრეთ ოსეთსა და აფხაზეთში საქართველოდან ამ რეგიონების დე ფაქტო გამოყოფით დასრულდა, რაც კიდევ ერთი მაღალი საფასურია, რომელიც ქვეყანამ შიდაპოლიტიკურ ველზე ძალთა ჭიდილისთვის გადაიხადა.

„ზვიადისტებსა“ და საქართველოს შემდეგი ლიდერის, ედუარდ შევარდნაძის, მომხრეებს შორის დაპირისპირება წლების მანძილზე გაგრძელდა. სააკაშვილმა, რომელმაც შევარდნაძე მშვიდობიანი „ვარდების რევოლუციის“ შედეგად შეცვალა და რომელიც შევარდნაძის რეჟიმს „არშემდგარ სახელმწიფოს“ უწოდებდა, ნაწილობრივ მოახდინა გამსახურდიას რეაბილიტაცია და საქართველოს პირველი პრეზიდენტი პატივით გადმოასვენა თბილისში. ქვეყანაში დამკვიდრდა ტენდენცია, რომლის მიხედვითაც, საქართველოს ყოველი ახალი ლიდერი ლეგიტიმაციის განსამტკიცებლად წინამორბედის მემკვიდრეობას აკრიტიკებდა. როგორც ქეთი სართანია წერს,

„პოსტსაბჭოთა საქართველოს ყველა პოლიტიკური ლიდერის ხელისუფლებაში მოსვლა ეფუძნებოდა წინამორბედისგან გამიჯვნას, რამაც, თითოეულის შემთხვევაში, ლეგიტიმურობის კრიზისი გამოიწვია. ცვლილება აუცილებელია, თუმცა გამოცდილებამ ცხადყო, რომ ლიდერის ცვლილება, პოლიტიკის ცვლილების გარეშე, მხოლოდ დროებით აუმჯობესებს სიტუაციას და ხანგრძლივადიან პერსპექტივაში საზოგადოებაში იმედგაცრუებასა და პოლარიზაციას აღვივებს“.<sup>17</sup>

## პოლარიზაცია თანამედროვე პოლიტიკაში

გასული ათწლეულის განმავლობაში ბრძოლამ ამჟამინდელ მმართველ პარტია „ქართულ ოცნებას“ და მის წინამორბედ „ერთიან ეროვნულ მოძრაობას“, განსაკუთრებით, მათ ლიდერებს - ბიძინა ივანიშვილსა და მიხეილ სააკაშვილის შორის იმ სტადიას მიაღწია, სადაც „გამრჯვებულს ყველაფერი მიაქვს.“ 2020 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში გამართული საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ჩიხური მდგომარეობა კიდევ უფრო გამწვავდა. „პოლიტიკის და მედიასივრცის პოლარიზაცია და რადიკალიზაცია ახალ

ნორმად დამკვიდრდა საქართველოს პოლიტიკურ ცხოვრებაში,“ ნათქვამია Freedom House-ის 2020 წლის ანგარიშში გარდამავალ ეტაპზე მყოფი სახელმწიფოების შესახებ,<sup>18</sup> ხოლო სულ ახლახან, 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების დამკვირვებლების მიხედვით, „2 ოქტომბერს გამართული ადგილობრივი არჩევნები, ზოგადად, კარგად იყო ადმინისტრირებული. თუმცა, არჩევნები წარმართა გაჭიანურებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე, რომელსაც ახასიათებს მწვავე პოლარიზაცია.“<sup>19</sup>

2012 წელს სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა ჩამოართვა ბიძინა ივანიშვილს. ეს იყო პირველი იმ მრავალ ნაბიჯსა და კონტრნაბიჯს შორის, რომლებიც ორმა მეტოქემ გადადგა. მას შემდეგ, რაც 2012 წელს ივანიშვილის „ქართულმა ოცნებამ“ დაამარცხა სააკაშვილი და ხელისუფლებაც თითქოსდა მშვიდობიანად შეიცვალა, „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ და მის მომხრეებს მაინც გაუჭირდათ დამარცხებასთან შეგუება. ხოლო რაც შეეხება „ქართულ ოცნებას,“ იგი შეუდგა „სამართლიანობის აღდგენას,“ რაც ხშირად „ერთიანი ეროვნული მოძრაობის“ ლიდერების პოლიტიკური დევნის ზღვარზე მიმდინარეობდა. სააკაშვილმა ქვეყანა 2013 წელს დატოვა.

„ქართული ოცნების“ პირველი ვადით ხელისუფლებაში ყოფნისას პოლარიზაცია ინტენსიური არ ყოფილა. ხელისუფლება რამდენიმე პარტიისგან დაკომპლექტებული კოალიციისგან შედგებოდა, რაც პოლიტიკას უფრო პლურალისტური დემოკრატიის ხასიათს სძენდა. თუმცა, 2016 წლის არჩევნებამდე ეს პარტიები „ქართულ ოცნებას“ გამოეყვნენ და მომდევნო მოწვევის პარლამენტში ვერ მოხვდნენ. ეს არჩევნები კვლავ გახდა ბინარული პოლიტიკური დაპირისპირება ორ მთავარ პარტიას შორის. 2018 წელს სააკაშვილი დაუსწრებლად გაასამართლეს ძალაუფლების ბოროტად გამოყენების გამო და თავისუფლების აღკვეთა მიუსაჯეს.

2021 წლის 2 ოქტომბრის მნიშვნელოვანი ადგილობრივი არჩევნების წინ სააკაშვილმა პირობა დადო, რომ საქართველოში ჩამოვიდოდა და აღნიშნა, რომ არჩევნები ფაქტობრივად იქნებოდა „რეფერენდუმი „ქართული ოცნებისა“ და ივანიშვილის ხელისუფლებიდან ჩამოცილების შესახებ.“<sup>20</sup> მან შეასრულა პირობა და სექტემბრის ბოლოს საქართველოში ფარულად და კანონდარღვევით, სატვირთო გემის კონტეინერში დამალული, შემოიპარა. 1 ოქტომბერს გამოცხადდა, რომ სააკაშვილი დაკავებულია და საპატიმროშია გადაყვანილი. საპატიმროში მან შიმშილობა დაიწყო.

ორ ლიდერს განსხვავებული მემკვიდრეობა აქვს. ქართულ საზოგადოებას სააკაშვილი ახსოვს, როგორც ქვეყნის მოდერნიზაციის სულისჩამდგმელი და დასავლური კურსის წინამძღოლი, მაგრამ, ამავე დროს, ლიდერი, რომელიც არღვევდა ადამიანის უფლებებს, ხელყოფდა ადამიანის ღირსებასა და ქონებრივ უფლებებს. იგი ახდენდა პოლიტიკური ოპონენტების დემონიზებას და, მაგალითად, „ჩარეცხილებს“ უწოდებდა მათ, ვინც ეწინააღმდეგებოდა კანონისა და წესრიგის დაცვის მის მიერ წარმოებულ მკაცრ პოლიტიკას.<sup>21</sup> ივანიშვილმა, რომელიც თავდაპირველად შეეცადა სააკაშვილის გადამეტებული ძალაუფლების შედეგების შერბილებას, ვერ შეასრულა თავისივე დადებული პირობა მოქალაქეების კეთილდღეობასთან დაკავშირებით. რაც არანაკლებ მნიშვნელოვანია, ნაცვლად იმისა, რომ აემუნებინა დემოკრატია, რომელიც, მისი სიტყვებით რომ ვთქვათ, „ევროპას გააოცებდა,“ ივანიშვილს არაფერი გაუკეთებია იმისთვის, რომ აემალეებინა საარჩევნო და მართლმსაჯულების სისტემების მიმართ მოსახლეობის ნდობა.<sup>22</sup>

იდეოლოგიური განსხვავება „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის მაინცდამაინც დიდი არ არის. 2021 წლის ადგილობრივი არჩევნების ეგზიტპოლის შედეგების მიხედვით ირკვევა, რომ ორი ძირითადი პარტიის მხარდამჭერების ისეთი მახასიათებლები, როგორცაა სქესი, ასაკი, განათლება და მათი დაინტერესება პოლიტიკით, და მათ მიერ გამოთქმული შეხედულებები მკვეთრად არ განსხვავდებოდა ერთმანეთისგან. ერთადერთი შესამჩნევი განსხვავება ის იყო, რომ „ქართული ოცნების“ ამომრჩევლის თითქმის 60 პროცენტმა პრიორიტეტად ჯანდაცვა დაასახელა. იგივე ფაქტორი „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ ამომრჩევლების მხოლოდ 24 პროცენტმა ახსენა.<sup>23</sup> ორივე პარტია ოფიციალურად უჭერს მხარს საქართველოს პროდასავლურ საგარეო პოლიტიკას. გარდა ამისა, პრიორიტეტების თითქმის სრული თანხვედრაა რეგიონული უსაფრთხოებისა და გეოეკონომიკურ საკითხებთან დაკავშირებითაც.

დასტინ გილბრეტისა და კობა თურმანიძის აზრით,

„კონკრეტულ საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობა რომ არსებობდეს, გამოხატული იქნებოდა განსხვავებული დამოკიდებულებით ქვეყნისთვის პრიორიტეტული საკითხების მიმართ. და მაინც, საზოგადოების უდიდესი ნაწილი, მათ შორის, სხვადასხვა პარტიების მხარდამჭერები ამბობენ, შეიძლება სხვადასხვა ფორმით, მაგრამ მაინც, რომ ქვეყნისთვის უმთავრესი პრობლემა ეკონომიკაა.“<sup>24</sup>

შესაბამისად, დაპირისპირება „ქართულ ოცნებასა“ და „ერთიან ნაციონალურ მოძრაობას“ შორის შეიძლება დახასიათდეს, როგორც ზემოდან ქვემოთ მართული ელიტურ ძალებს შორის ბრძოლის კიდევ ერთი გამოხატულება. დაპირისპირება ასევე წარმოადგენს ბრძოლას ეკონომიკურ რესურსებზე წვდომისთვის, რასაც მცირეშემოსავლიან ქვეყანაში ძალაუფლების ფლობა განაპირობებს. საქართველოში, სადაც უმუშევრობის მაჩვენებელი მაღალია, ხოლო კერძო სექტორი - მცირე, დასაქმებულების უმეტესობა შემოსავალს საჯარო სექტორიდან იღებს და შესაბამისად, გარკვეულწილად, თავს დავალებულად გრძნობს მთავრობისა და მმართველი პარტიის წინაშე. აღმასრულებელი ძალაუფლება მძლავრ ეკონომიკურ რესურსებს ფლობს.

მხარდამჭერთა ბირთვისთვის, განსაკუთრებით უფრო ხანგრძლივი ისტორიის მქონე „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ შემთხვევაში, პარტიის მიმართ ლოიალობა მათი სოციალური იდენტობის ნაწილია. თუმცა, დაპირისპირება ორ მსხვილ პარტიას შორის ცინიზმს იწვევს საზოგადოების მნიშვნელოვან ნაწილში, რომელიც გულგრილია ორივე ბანაკის მიმართ. პოლიტიკურმა დრამამ, რომელიც „ერთიან ნაციონალურ მოძრაობასა“ და „ქართულ ოცნებას“ შორის თამაშდება, მოახდინა სხვა პარტიების მარგინალიზება და ლოიალურად განწყობილი მედიის, პარტიის ადგილობრივი ოფისებისა და გარკვეულწილად ამომრჩევლებზე ზეწოლის მეშვეობით გზა გადაუღობა ყველა პოტენციურ კონკურენტს. იგულისხმება, ე.წ. მესამე ძალა, მიუხედავად იმისა, რომ ამგვარი ალტერნატივის მოთხოვნა საზოგადოებაში აშკარად იგრძნობა. კითხვაზე, „რომელი პარტია გესიმპატიურებათ ყველაზე მეტად?“ 2021 წლის ივლისში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის გამოკითხვის რესპონდენტთა 51 პროცენტმა პასუხად აირჩია: „არც ერთი პარტია.“<sup>25</sup> მხოლოდ 18 პროცენტმა დაასახელა „ქართული ოცნება“, ხოლო ექვსმა პროცენტმა - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა.“ მიუხედავად ამისა, ორი პარტია განაგრძობს არჩევნებზე ხმების უმრავლესობის მოხვეჭას.

ზოგიერთი მიიჩნევს, რომ დაპირისპირება ორივე პარტიის ინტერესშია. სტეფან მაისტერის აზრით, „ორივე მსხვილი პარტია, „ქართული ოცნებაც“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობაც,“ დაინტერესებულია ამგვარი პოლარიზაციის შენარჩუნებით, რადგან შექმნილი სიტუაცია მათ ელექტორატის მობილიზაციაში ეხმარება და კონკურენტებისთვის არანაირ სივრცეს არ ტოვებს.“<sup>26</sup> პოლიტიკური კარიერის დასაწყისში, 2011 წელს ჩაწერილ ინტერვიუში ბიძინა ივანიშვილმა ღიად განაცხადა, რომ მას არ სწამდა შუალედური პოზიციისა და რომ ქართველებს არჩევანი თეთრსა და შავს შორის, ანუ მას და სააკაშვილის პარტიას შორის უნდა გაეკეთებინათ. „ნუ თამაშობ, რომ თითქოს არც იქით ხარ და არც აქეთ [...] ჩემთვის პრინციპულია, რომ მოხდეს პოლარიზება. ისეთი პოლარიზება კი არა, რომ სამოქალაქო დაპირისპირება დაიწყოს, ღმერთმა დაგვიფაროს ამისგან, არამედ ის, რომ ხალხს ჰქონდეს შავის და თეთრის გარჩევის საშუალება.“<sup>27</sup>

საკმაოდ მკაფიოდ იკითხება ორივე პარტიის მოტივაცია, ერთმანეთთან ბრძოლა ისე წარმოაჩინონ, თითქოს ალტერნატივა არ არასებობს და ამიტომ ამომრჩეველმა არჩევანი სწორედ მათ შორის უნდა გააკეთოს. „ქართულ ოცნებას“ არ აწყობს ასპარეზზე ამომრჩეველის ნდობის მქონე კიდევ ერთი პოლიტიკური ძალის გამოჩენა, ხოლო „ერთიანი ნაციონალური მოძრაობას“ სურს შეინარჩუნოს მომავალი მთავრობის ფორმირების უფლება და დარჩეს „ქართული ოცნების“ ერთადერთ ალტერნატივად. ამგვარი სტატუსი უზრუნველყოფს სოციალური ბაზის შენარჩუნებასა და ფინანსური წყაროების სტაბილურობას.

სავსებით მოსალოდნელი იყო, რომ 2021 წლის საარჩევნო კამპანიის დროს ყოფილი პრემიერ-მინისტრის, გიორგი გახარიას, ახლადშექმნილი პარტია, რომელიც სხვა ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით უფრო კონკურენტუნარიანი იყო, ორივე პარტიის მხრიდან შეტევის ობიექტი გახდა. „ქართულმა ოცნებამ“ და „ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ“ არ დაიშურეს ფინანსური და მედიაარესურსები გახარიასა და მისი პარტიის დისკრედიტაციის მიზნით.

ჯერ-ჯერობით ერთი მნიშვნელოვანი განსხვავება შეინიშნება საქართველოში ამჟამინდელ პოლიტიკურ კრიზისსა და ზემოთ ნახსენებ ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობაში არსებულ დაპირისპირებებს შორის. კერძოდ, დღეისთვის არსებული პოლიტიკური პოლარიზაცია მძაფრი პოლემიკის ფონზე მიმდინარეობს, თუმცა ნაკლებად ძალადობრივია. ეს შესაძლებელია განპირობებული იყოს ქვეყანაში დღეს არსებული შედარებით უფრო განვითარებული დემოკრატიული ინსტიტუტებით. ქვეყანა სოციალური და პოლიტიკური ტრანსფორმაციის პროცესს გადის ევროკავშირისა და ნატოსთან ინტეგრაციის პროგრამების ფარგლებში, რომლებიც მნიშვნელოვნად უწყობს ხელს სიტუაციის ესკალაციისა და ძალადობის პრევენციას.

მიუხედავად ამისა, პოლარიზაციის უარყოფითი გავლენა ყოველდღიური ცხოვრების ყველა ასპექტში იგრძნობა. ორი წელია ქართველებს მუდმივად უწევთ პოლიტიკურად დაძაბულ გარემოში ცხოვრება. ნორმალურად ვერ მუშაობს პარლამენტი, როდესაც ოპოზიცია ბოიკოტს უცხადებს, ხოლო სასამართლო სისტემაში გრძელდება მოსამართლეების დანიშვნის საკითხებთან დაკავშირებული კრიზისი. მედია, რომელიც ასევე პოლარიზებულია, გაჟღენთილია კონტენტით, რომელიც მხოლოდ და მხოლოდ აშუქებს პოლიტიკური ბრძოლას ერთადერთი მიზნით - გაირკვას ვინ რომელ ადგილს დაიკავებს პარლამენტსა თუ მთავრობაში. 2021 წლის ოქტომბრის არჩევნების

მედიადამკვირვებლების მიხედვით, „მაუწყებლების მიკერძოებული სარედაქციო პოლიტიკა აისახება მათ მიერ დაწუნებული პოლიტიკური სუბიექტების უარყოფითად გაშუქებაში.“<sup>28</sup>

თითქმის ქრონიკული პოლიტიკური პოლარიზაცია და დაუსრულებელი კრიზისი მოსახლეობაში აპათიას აღვივებს და პოლიტიკაში მონაწილეობის სურვილს უკარგავს. შედეგად, ზიანდება მონაწილეობითი პროცესები და დემოკრატიული ინსტიტუტების რწმენა. გარდა ამისა, ძალაუფლებისთვის ბრძოლის სიმწვავეს გამო ხელისუფლება თავს იკავებს სამართალდამცავი სტრუქტურების დეპოლიტიზებისგან და აგრძელებს ამ ინსტიტუტების გამოყენებას პარტიული ინტერესების დასაცავად. ეს გარემოება კარგად გამოჩნდა ამასწინდელ აგორებულ სკანდალში, როდესაც გამოჟონა ინფორმაციამ და მასალებმა იმის შესახებ, რომ უშიშროების სამსახური, სავარაუდოდ, დიდი ხნის მანძილზე უთვალთვალებდა ჟურნალისტებს, სასულიერო პირებსა და დიპლომატებს.<sup>29</sup> სკანდალმა მნიშვნელოვნად შელახა საქართველოს, როგორც დემოკრატიული ქვეყნისა და სანდო მოკავშირის, რეპუტაცია დასავლელი პარტნიორების თვალში.

ამ ფონზე ყურადღების მიღმა რჩება მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკურ კეთილდღეობას, პანდემიასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებული მწვავე საკითხები. კიდევ ერთი თემა, რომელსაც თითქმის არ ექცევა ყურადღება, არის მზარდი გაუცხოება აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის/სამხრეთ ოსეთის კონფლიქტების გამყოფი ხაზების ორივე მხარეს მცხოვრებ მოსახლეობაში. პრობლემის სირთულე და უკიდურესად ფაქიზი ბუნება მოითხოვს მთლიანი პოლიტიკური სპექტრისგან კრეატიულ მიდგომას, რათა გაიზარდოს ურთიერთგაგება და აღდგეს ნდობა. სამწუხაროდ, არსებული პოლიტიკური პოლარიზაცია ამგვარ თანამშრომლობას პრაქტიკულად შეუძლებელს ხდის.

## საზოგადოებრივი განხეთქილება: ტრადიცია VS მოდერნიზაცია

საქართველო არის ქვეყანა ორ უკიდურესობას შორის: ერთი მხრივ, ქვეყანას აქვს „ტრადიციული ფასეულობები“, რომლებიც მის უძველეს ტრადიციებსა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის რწმენებს ეფუძნება, ხოლო მეორე მხრივ, სურს იყოს თანამედროვე საზოგადოება, ერთა ევროპული თანამეგობრობის წევრი, რომელიც მხარს უჭერს მრავალფეროვნებას და აღიარებს უმცირესობების უფლებებს. ამ კუთხით ქვეყანა განიცდის ერთგვარ სოციალურ პოლარიზაციას კონსერვატორებსა და ლიბერალებს შორის პოლონეთის, თურქეთისა და შეერთებული შტატების მსგავსად. ქართული გამოცდილება ჯერ კიდევ არ არის ისე პოლარიზებული, როგორც ეს ხსენებულ ქვეყნებშია, თუმცა სიტუაცია შეიძლება შეიცვალოს.

განმათავისუფლებელი მოძრაობის ადრეულ წლებში, რუსეთისგან თავის დაღწევის გარდა, აქტუალური იყო ეროვნული საკითხებიც, მაგალითად, ქართული ენისა და საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის საზოგადოებრივი სტატუსის ამაღლება და დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორება.

ქართულ მართლმადიდებელ ეკლესიაში მოქმედი ზოგიერთი ჯგუფი ავრცელებს გზავნილს, თითქოს თანამედროვე გლობალიზებული სამყარო საფრთხეს უქმნის ქართულ ტრადიციებს. პატრიარქი ილია მეორე ხშირად გამოხატავს შიშს იმასთან დაკავშირებით, რომ თანამედროვე ცხოვრების წესი ანადგურებს ძვირფას ქართულ მორალურ ფასეულობებს: „ესაა ყველა მიმართულებით გაშლილი ბრძოლა ტრადიციული შეხედულებების, აღზრდისა და ზნეობის წინააღმდეგ“, - ნათქვამია პატრიარქის 2021 წლის საადდგომო ეპისტოლეში.<sup>30</sup> ქვეყანაში ჯერ კიდევ მყარად აქვს ფეხი მოკიდებული რწმენას ქართული ეთნიკური და არა სამოქალაქო იდენტობის უპირატესობის შესახებ. 2020 წელს პროექტის „საქართველოს მომავალი“ ჩატარებული გამოკითხვის რესპონდენტთა 50 პროცენტი დაეთანხმა შემდეგ წინადადებას: „საქართველოს მოქალაქეები უნდა იყვნენ მართლმადიდებელი ქრისტიანები.“ გამოკითხულთა მხოლოდ 30 პროცენტის აზრით კი, „მხოლოდ ეთნიკურ ქართველებს უნდა ჰქონდეთ საქართველოს მოქალაქეობის უფლება.“ გარდა ამისა, კვლევის შედეგებმა რესპონდენტთა ფართო წრეში გამოკვეთა სკეპტიციზმი ქალთა და LGBTQI ადამიანების უფლებების მიმართ. ამავე დროს, 2021 წლის ივლისში ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის დაკვეთით ჩატარებული გამოკითხვის შედეგების მიხედვით, რესპონდენტთა 76 პროცენტი მხარს უჭერს ევროკავშირში გაწევრიანებას, ხოლო მოწინააღმდეგეთა მაჩვენებელი 11 პროცენტს არ აღემატება. თითქმის იდენტური იყო ნატოში გაწევრიანების მომხრეთა და მოწინააღმდეგეთა პროცენტული განაწილება (74 პროცენტი - მომხრე, 11 პროცენტი - მოწინააღმდეგე).

ამავე დროს, მცირერიცხოვანი სოციალური ჯგუფი, რომელიც, ძირითადად, თბილისის მაცხოვრებლებისგან შედგება და რომელიც მხარს უჭერს მოდერნულობასა და ლიბერალიზმს, ემხრობა უფრო მეინსტრიმულ ლიბერალურ დირებულებებს. მიუხედავად სიმცირისა, ჯგუფის წევრებს აქვთ მყარი სოციალური კაპიტალი და კავშირები საქართველოს დასავლელ პარტნიორ ქვეყნებში.

ბოლო წლების განმავლობაში ამგვარი დაყოფა ძირითადად შეუმჩნეველი იყო, თუმცა ზედაპირზე მას შემდეგ წამოტივტივდა, რაც დამაბულობა გამწვავდა 2021 წლის ივლისში თბილისში დაგეგმილ გეიპრაიდთან დაკავშირებით. მთავრობა მხარს არ უჭერდა ამ ღონისძიების გამართვას და დასავლური ქვეყნების საელჩოების მიერ გაჟღერებულ გზავნილებსაც კი არ ეპუებოდა. პოლიციამ ვერ შეძლო უსაფრთხოების უზრუნველყოფა და ჟურნალისტების დაცვა რადიკალური მემარჯვენე აქტივისტების აგრესიისგან, რომლებიც ჟურნალისტებს ჯერ ფიზიკურად გაუსწორდნენ და შემდეგ პარლამენტის წინ აღმართული ევროკავშირის დროშაც ჩამოხიეს.

მოვლენების ამგვარი განვითარების შემდეგ მთავრობა, რომელმაც მოახდინა საზოგადოებრივი განხეთქილების ინსტრუმენტალიზაცია, საჯაროდ გაემიჯნა ქვეყნის დასავლელ პარტნიორებს. პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა მაჟორიტარული მიდგომა არჩია და განაცხადა, რომ „ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის 95 პროცენტი არის წინააღმდეგი პროპაგანდისტული მარშის დემონსტრაციული ფორმით გამართვის.“<sup>31</sup>

ფასეულობებთან დაკვირვებული განხეთქილების დაფარვა უკვე შეუძლებელია. „ქართული ოცნების“ მთავრობამ აღნიშნა, რომ განაცხადი ევროკავშირის წევრობაზე 2024 წელს გაკეთდება. მიუხედავად იმისა, რომ ქვეყანამ მიიღო ანტიდისკრიმინაციული კანონმდებლობა ევროკავშირის დირექტივების შესაბამისად, დაპირისპირება

ევროკავშირისა და ამერიკის შეერთებულ შტატებთან LGBTQI უფლებებისა და სასამართლო რეფორმის ირგვლივ ახლა მეტად თვალსაჩინოა.

## დასკვნა და რეკომენდაციები

სამი ათწლეულია, რაც საქართველო მყიფე დემოკრატია წარმოადგეს. დემოკრატიული პროცესები ჯერ კიდევ ზარალდება მანკიერი წრის გამო, სადაც ერთი მხრივ, სუსტი დემოკრატიული ინსტიტუტები და მეორე მხრივ, პოლარიზაციის ჩვევა და ნულოვანჯამიანი თამაშის წესებით მიმდინარე პოლიტიკური ბრძოლა, ერთმანეთს კვებავს. ისეთი პირი უჩანს, რომ ქვეყანაში პოლარიზებული პოლიტიკა კიდევ უფრო გამწვავდება. პოლარიზაცია ძირს უთხრის ნდობას დემოკრატიის მიმართ, რის შედეგადაც, საზოგადოებრივი აზრი, როგორც მაკონტროლებელი ბერკეტი, ძალას კარგავს პოლარიზებული აქტორებისთვის. ბოლოდროინდელი კვლევები ადასტურებს, რომ 2011 წლიდან მოყოლებული, საქართველოში ნდობა პოლიტიკური ინსტიტუტების მიმართ სულ უფრო მცირდება.<sup>32</sup> ჯენიფერ მაკკოი და მურატ სომერი ამტკიცებენ, რომ ამგვარ ვითარებაში ყველაზე მიკერძოებული ამომრჩევლები, დიდი ალბათობით, თავს იკავებენ პოლიტიკოსების დასჯისგან იმ პოზიციების გამო, რომლებიც არღვევენ დემოკრატიულ ნორმებს, განსაკუთრებით მაშინ, როცა ისინი საკუთარ პარტიას წარმოადგენენ.<sup>33</sup>

2021 წელს საქართველოში არსებული პოლიტიკური ვითარება რამდენიმე მიზეზის გამო ქმნის საშიშროებას. გარკვეულ ეტაპზე მწვავე პოლიტიკური დაპირისპირება, რასაც სააკაშვილის დაპატიმრება კიდევ უფრო ამძაფრებს, შეიძლება აღარ დაექვემდებაროს კონტროლს და საქმე ძალადობრივ დაპირისპირებამდე მივიდეს. ორ მთავარ პარტიას შორის ხმაურიანი დაპირისპირება ზომიერი აქტორების ხმას ახშობს და ამ დროს წინა პლანზე რადიკალური დღის წესრიგის მქონენი გადმოდიან. დროთა განმავლობაში ამგვარი აქტორები ხლეჩენ საზოგადოებას, სადაც სულ უფრო კლებულობს საერთო ინტერესები.

პარალელურად, ქვეყანაში საზოგადოების შიგნით არსებული პოლარიზაციაც გამწვავდა. საზოგადოებრივი გამოკითხვების შედეგები ცხადყოფს, რომ საქართველოს დეკლარირებული ამბიცია, შეუერთდეს ევროკავშირს, არ შეესაბამება ქართველების მიერ სამოქალაქო და უფრო მეტად ინკლუზიური ეროვნული იდენტობის გაგებას ისე, როგორც ეს ევროკავშირის უმეტესობა ქვეყნებში ესმით. ამ მხრივ საქართველო, სადაც კულტურული დაპირისპირება ევროპელობის ცნების ირგვლივ ბრძოლის ველად იქცა, ჩვენი დროის უნგრეთსა და პოლონეთს ჩამოჰგავს.

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს წინაშე ისეთი სერიოზული პრობლემები დგას, როგორცაა მოსახლეობის კეთილდღეობა, ეროვნული უმცირესობების ინტეგრაცია, LGBTQI თემების უფლებების რეალიზაცია, საქართველოს მართლმადიდებელი ეკლესიის ადგილი და როლი საზოგადოებაში, ასევე თანამედროვე ისტორიის შესახებ კონსენსუსის ნაკლებობა, საჯარო დისკუსია ამ თემების შესახებ ან პოლიტიკოსებს აქვთ ინსტრუმენტალიზებული, ან საერთოდ არ არსებობს. რამდენჯერმე, 2021 წლის განმავლობაში, „ქართული ოცნების“ მთავრობამ ევროკავშირის წინააღმდეგ



„კულტურული კარტი“ გაითამაშა იმ სოციალურ და გენდერულ საკითხებთან დაკავშირებით, რის შესახებაც ვარაუდობდა, რომ შეძლებდა საზოგადოების მხარდაჭერის მობილიზებას. რამდენიმე მოვლენასთან დაკავშირებით (ყველაზე თვალნათლივ ეს გეიპრაიდის ირგვლივ განვითარებულ მოვლენებთან დაკავშირებით გამოჩნდა) ამჟამინდელმა ხელისუფლებამ დებატის მონაწილეებში კონსერვატორების მხარე დაიჭირა, რამაც გააღრმავა უთანხმოება ქვეყნის დასავლელ პარტნიორებთან, ასევე ხელისუფლებასა და ქართული საზოგადოების ყველაზე მკვეთრად გამოხატულ პროდასავლელ ამომრჩეველს შორის.

საზოგადოებაში არსებული ნაპრალების ამოვსება უკიდურესად რთულია. მის გამოსწორებას შეიძლება წლები დასჭირდეს, რაც სხვა შემთხვევაში განვითარების დღის წესრიგის განხორციელებას შეიძლებოდა მოხმარებოდა. ბევრი ქართველისთვის ეს კარგად ნაცნობი და ერთობ უსიამოვნო დრამის სცენარია.

პოლიტიკური პოლარიზაციისგან თავის დასახსნელად უნივერსალური რეცეპტი არ არსებობს. პროგრესის მისაღწევად საქართველომ უნდა იპოვოს გზა, უარი თქვას პერსონალიზებზე დაფუძნებულ პოლიტიკაზე და მოქალაქეებს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობის საშუალება მისცეს. როგორც ქეთი სართანია აღნიშნავს, დამოუკიდებლობის შემდგომ საქართველოს ისტორიაში დომინირებენ ძლიერი პიროვნებები, რომლებიც პარტიებს პატრონაჟულ ქსელებად იყენებენ, ერთმანეთს უპირისპირდებიან და ქმნიან ზემოდან ქვემოთ მართულ პოლიტიკურ კულტურას.<sup>34</sup> 2009 წლის პუბლიკაციაში ილია რუბანისი ამგვარ პოლიტიკურ კულტურას „პლურალისტურ ფეოდალიზმს“ ადარებს, სისტემას, რომელშიც „პოლიტიკოსებს არაფერი აკავშირებთ ძალაუფლებასთან, არ არსებობს სოციალური მოთხოვნები, საზოგადოება არ საუბრობს საერთო ინტერესებზე: ერთი სიტყვით, ეს არის სუფთა ჩეკი, რომელიც ძალაშია საპრეზიდენტო არჩევნებიდან არჩევნებამდე.“<sup>35</sup>

ამგვარი ტიპის მმართველობის სისტემა ნოყიერ ნიადაგს ქმნის შინაგანად ავტორიტარული, რადიკალიზმისა და პოლარიზაციისკენ მიდრეკილი პოლიტიკური პარტიებისთვის, რომლებიც ხშირად ერთი ლიდერის სურვილებზე არიან დამოკიდებული. ამჟამად ორი ძირითადი პარტია სისტემის შენარჩუნებისთვის საქართველოს რეგიონებში წარმატებით იყენებს ფინანსურ და მედია რესურსებს.

საქართველოს აქტიურ სამოქალაქო საზოგადოებასა და პროფესიონალთა კლასს, სადაც ერთგულება და კონსენსუსი მონაწილეობითი დემოკრატიის მიმართ უფრო მყარია, არ ძალუბთ პოლიტიკური კულტურის შეცვლა. მცირე ზომის ალტერნატიული პარტიები კი არჩევნებში სასურველ გამარჯვებას ვერ აღწევენ, მიუხედავად იმისა, რომ 2020 წლის არჩევნებისთვის წესები შეიცვალა და პარტიებისთვის პარლამენტში მოსახვედრად უფრო დაბალი ბარიერი დაწესდა.

რამდენიმე შემთხვევაში საქართველოს ევროპულმა მისწრაფებებმა საშუალება მისცა ევროკავშირსა და ამერიკის შეერთებულ შტატებს ბერკეტად გამოეყენებინა ქვეყნის პროევროპული გეოპოლიტიკური ვექტორი და მედიატორის როლი შეესრულებინა საქართველოს შიდაპოლიტიკური კრიზისის განტვირთვაში. ძალაუფლების მშვიდობიანი გადაცემა 2003 წლის „ვარდების რევოლუციის“ დროს და შემდეგ სააკაშვილის გადაწყვეტილება მშვიდობიანად ელიარებინა დამარცხება 2012 წელს სწორედ ამ შემთხვევებს მიეკუთვნება. თუმცა, ბოლო პერიოდში ეს ბერკეტი შესუსტდა, რაც

ხელისუფლების მიერ ბრიუსელისა და ვაშინგტონის რჩევების საჯაროდ უარყოფაში გამოიხატა.

2021 წელს ევროკავშირი შეერთებული შტატების დახმარებით შეეცადა შეესრულებინა შუამავლის როლი საპარლამენტო არჩევნების ირგვლივ მხარეებს შორის გამწვავებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე. ოპოზიცია არ აღიარებდა არჩევნების შედეგებს და უარს ამბობდა საპარლამენტო მანდატებზე. ევროკავშირის საბჭოს პრეზიდენტის შარლ მიშელის უდიდესი დიპლომატიური ძალისხმევის შედეგად, პარტიების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რომლითაც დასრულდა ოპოზიციის ბოიკოტი და გზა გაეხსნა შემდგომ საარჩევნო და სამართლებრივ რეფორმებს.<sup>36</sup> შეთანხმება მალევე გახდა პოლიტიკური პოლარიზაციის მსხვერპლი. „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ არ შეუერთდა შეთანხმებას, რის შემდეგაც „ქართულმა ოცნებამაც“ უარი განაცხადა შეთანხმების პირობების შესრულებაზე იმ მოტივით, რომ ამ შეთანხმებას მხარს არ უჭერდა მისი მთავარი მოწინააღმდეგე.

საქართველოს ხელისუფლებამ კიდევ უფრო გაიფუჭა საქმე ბრიუსელთან მას შემდეგ, რაც უარი თქვა 75 მილიონი ევროს ოდენობის სესხზე. მთავრობის ეს უარი მოჰყვა ევროკავშირის მუქარას ფინანსური დახმარების შეწყვეტის შესახებ, თუ თბილისი ჩააგდებდა სასამართლოს რეფორმას.<sup>37</sup> მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს ყოველთვის სჭირდებოდა და ახლაც სჭირდება სესხები ევროკავშირისგან, „ქართული ოცნების“ მთავრობამ საკუთარი ინტერესები დაიცვა და მოსამართლეების დანიშვნის პოლიტიკურად ხელსაყრელად მიჩნეული პროცესი გააგრძელა. ამგვარი გადაწყვეტილებები აზიანებს საქართველოს, როგორც პარტნიორის იმიჯს, განსაკუთრებით იმ ფაქტორის გათვალისწინებით, რომ მთავრობა ემზადება ევროკავშირის წევრობაზე განაცხადის წარსადგენად 2024 წელს.

საქართველოში მომდევნო საპარლამენტო არჩევნებამდე, რომელიც 2024 წელს უნდა გაიმართოს, სამი წელი დარჩა. ამ პერიოდის განმავლობაში მოსალოდნელია დამაბულობისა და დაპირისპირების კიდევ უფრო გამწვავება. საუკეთესო შემთხვევაში, ამ პერიოდის გამოყენება უპრიანია პოლიტიკური ინსტიტუტების, უმთავრესად საარჩევნო და სასამართლო სისტემების, მიმართ საზოგადოებრივი ნდობის გამყარებისთვის. ქვეყნის ჰაერივით სჭირდება ინსტიტუტების სრული დეპოლიტიზაცია. და მაინც, პოლიტიკური პოლარიზაციის მანკიერმა წრემ შესაძლოა ხელი შეუშალოს აქტორებს, შეცვალონ არსებული დინამიკა.

მიმდინარე კრიზისი დამატებით პასუხისმგებლობას აკისრებს ევროკავშირსა და დასავლური ქვეყნების მთავრობებს, რომლებიც ბოლო ორი ათწლეულია დე ფაქტო შეკავებისა და გაწონასწორების ბერკეტის როლს ასრულებენ საქართველოსთან მიმართებით. ევროპის საბჭოს პრეზიდენტის მიერ გაწეული შუამავლობის გამოცდილება სასარგებლოა, რადგან ეს თვალნათლივ აჩვენებს, რომ საქართველოს ევროპულ და ევროატლანტიკურ სტრუქტურებში ინტეგრაციის პროგრამებს არასაკმარისი ტრანსფორმაციული ძალა აქვს. საჭიროა პირობადებულობის პრინციპის უფრო ხისტად წაყენება და პრინციპის - „მეტი მეტისთვის“ ძლიერად გატარება. ეს გულისხმობს ევროკავშირის მხრიდან მოთხოვნას, საქართველოს ხელისუფლებამ ზედმიწევნით შეასრულოს დემოკრატიის გაღრმავების მიმართულებით აღებული ვალდებულებები ევროკავშირისგან დახმარების მიღების სანაცვლოდ. თავის მხრივ, ევროკავშირმაც არ

უნდა დააყოვნოს ქვეყნისთვის სარგებლის გაცემა. წარმატებული ევროინტეგრაციის გამოცდილება ადასტურებს, რომ ევროკავშირში გაწევრიანების პერსპექტივა ქმედუნარიანი წამახალისებელი ფაქტორია ისეთი ასპირანტი ქვეყნებისთვის, როგორცაა საქართველო, რათა გაგრძელდეს დემოკრატიული რეფორმები.

მიმდინარე პოლიტიკური შუღლი გაუცხოებას იწვევს მოსახლეობის მნიშვნელოვან სეგმენტებში. ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის დაკვეთით 2021 წლის ივლისში ჩატარებული ფართომასშტაბიანი გამოკითხვის რესპონდენტების 51 პროცენტს არ მიაჩნია საქართველო დემოკრატიულ ქვეყნად. დაახლოებით იგივე რაოდენობა ფიქრობს, რომ ქვეყანა არასწორი მიმართულებით ვითარდება და რომ არც ერთი პოლიტიკური პარტია არ პასუხობს მოსახლეობის საჭიროებებს. გამოკითხულთა მხოლოდ 30 პროცენტმა დაასახელა ის პოლიტიკური პარტია, რომელსაც ხმას მისცემდა. საყურადღებოა, რომ რესპონდენტების დიდმა უმრავლესობამ უმუშევრობა და სიღარიბე მათთვის ყველაზე მწვავე პრობლემებად დაასახელა, რაც კიდევ ერთი საყვედურია ორივე ძირითადი პარტიის მიმართ.

ცხადია, ქვეყანას ესაჭიროება მონაწილეობითი დემოკრატიის მეტი მექანიზმები, რაც უზრუნველყოფდა მოქალაქეების მობილიზებას, როგორც ორ პარტიას შორის მიმდინარე დაპირისპირების მაცურებლის. თუმცა, როგორც ჩანს, „ქართული ოცნება“ და „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“ კიდევ დიდხანს დარჩებიან დომინანტ აქტორებად საქართველოს პოლიტიკურ ველში, რაც იმას ნიშნავს, რომ დემოკრატიის გამოფიტვის რისკი კიდევ უფრო გაიზრდება. გარდა ამისა, არსებობს იმის საფრთხეც, რომ თუ მანც გამოჩნდება მესამე პარტია, რომელსაც შეეძლება დაუპირისპირდეს არსებულ ორპოლუსიანობას, შესაძლოა ეს იყოს უპასუხისმგებლო პოპულისტური ძალა, რომელიც შეეცდება გააღრმავოს ანტიელიტური, რადიკალური კონსერვატიული სენტემენტები და აპელირება გააკეთოს სოციალურ-ეკონომიკურ უკმაყოფილებაზე.

## ავტორების შესახებ

**არჩილ გეგეშიძე** ლევან მიქელაძის სახელობის ფონდის აღმასრულებელი დირექტორია

**ტომ დე ვალი** კარნეგი ევროპის უფროსი მკვლევარია და სწავლობს აღმოსავლეთ ევროპასა და კავკასიის რეგიონს

პროექტი „საქართველოს მომავალი“ ხორციელდება კარნეგის ფონდის ევროპის ოფისისა და ლევან მიქელაძის ფონდის მიერ შვედეთის სამთავრობო ოფისისა და ფინეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ფინანსური მხარდაჭერით.

### შენიშვნები

დოკუმენტში წყაროები მითითებულია ე.წ. ჰიპერლინკებად, რომლებიც ძირითადი ტექსტიდან მწვანე ფერით არის გამოყოფილი.

## შენიშვნები

<sup>1</sup> “სიძულვილის ენა და პოლარიზაცია წინასაარჩევნო პერიოდში”, საერთაშორისო გამჭვირვალობა საქართველო, 6 დეკემბერი, 2018 <https://transparency.ge/ge/blog/sizulvilis-ena-da-polarizacia-cinasaarchevno-periodshi>

<sup>2</sup> “პრეზიდენტ დონალდ ტუსკის სიტყვით გამოსვლა ბათუმის საერთაშორისო კონფერენციაზე” 11 ივლისი, 2019, <https://www.consilium.europa.eu/en/press/press-releases/2019/07/11/speech-by-president-donald-tusk-at-the-batumi-international-conference/>

<sup>3</sup> Jennifer McCoy and Murat Somer, *Déjà Vu? Polarization and Endangered Democracies in the 21st Century*, *American Behavioral Scientist* 62, no. 1 (2018)

<sup>4</sup> იქვე, 3

<sup>5</sup> ნინო ლეჟავა, “დაუსრულებელი მცდელობა: საქართველო ევროპაში საკუთარი ალაგის ძიებაში”, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, 6 აპრილი, 2021, [https://mikeladzefoundation.org/uploads/files/2021-12/1638866875\\_nino-lejava\\_ge\\_final\\_uploadable.pdf](https://mikeladzefoundation.org/uploads/files/2021-12/1638866875_nino-lejava_ge_final_uploadable.pdf)

<sup>6</sup> სტივენ ჯონსი, საქართველო: პოლიტიკური ისტორია დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ, 47

<sup>7</sup> Nutsa Batiashvili, *Bivocal Nation*, xviii

<sup>8</sup> იქვე, 36-44

<sup>9</sup> Claire Pogue Kaiser, *Lived Nationality: Nationality: Policy and Practice in Soviet Georgia, 1945-1978*, 62

<sup>10</sup> Batiashvili, *The Bivocal Nation*, 173-189.

<sup>11</sup> Liz Fuller, “Georgia Vote Emerges as Proxy Battle,” *RFE/RL Caucasus Report*, October 6, 2016, <https://www.rferl.org/a/georgia-elections-proxy-battle-saakashvili-ivanishvili/28036068.html>.

<sup>12</sup> “სააკაშვილის გამოსვლა გაეროს გენერალურ ასამბლეაზე” *Civil.ge*, 26 სექტემბერი, 2013, <https://civil.ge/ka/archives/152200>

<sup>13</sup> ჯონსი, 30

<sup>14</sup> ბალტიისპირეთის ყოფილმა საბჭოთა რესპუბლიკებმაც მიმართეს მსგავს ტაქტიკას. „ლეგიტიმური“ საბჭოთა ინსტიტუტებისა და კანონმდებლობის გამოყენებით, მათ მოახერხეს კომუნისტების ჩამოცილება ძალაუფლებისგან

<sup>15</sup> Jennifer McCoy and Murat Somer, *Toward a Theory of Pernicious Polarization and How It Harms Democracies: Comparative Evidence and Possible Remedies*, *The Annals of the American Academy of Political and Social Science*, December 20, 2018, ხელმისაწვდომია: <https://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0002716218818782>

<sup>16</sup> ქეთი სართანია, “ბრძოლა და მსხვერპლშეწირვა: საქართველოს უახლესი ისტორიის ნარატივები”, ლევან მიქელაძის სახელობის ფონდი, მაისი, 2021, [https://mikeladzefoundation.org/uploads/files/2021-12/1638866930\\_qethi-sarthania\\_saqarthvelos-momavali\\_lmf\\_geo.pdf](https://mikeladzefoundation.org/uploads/files/2021-12/1638866930_qethi-sarthania_saqarthvelos-momavali_lmf_geo.pdf)

<sup>17</sup> <https://freedomhouse.org/country/georgia/nations-transit/2020>

<sup>18</sup> [https://www.osce.org/files/f/documents/f/d/499468\\_3.pdf](https://www.osce.org/files/f/documents/f/d/499468_3.pdf)

<sup>19</sup> “ნიკა მელიას გათავისუფლების შემდეგ მიხეილ სააკაშვილი ენმ-ს შეთანხმებაზე ხელმოწერისკენ მოუწოდებს”, *Civil.ge*, 20 აპრილი, 2021, <https://civil.ge/ka/archives/414446>

<sup>20</sup> სალომე ასათიანი, “Georgia: Failure to Communicate Dogged Saakashvili’s First Term”, რადიო თავისუფალი ევროპა/რადიო თავისუფლება, 25 დეკემბერი, 2007, <https://www.rferl.org/a/1079297.htm>

<sup>21</sup> Thomas de Waal, “Georgia’s Political Shake Up: Enter the Oligarch,” *National Interest*, October 27, 2011, <https://carnegieeurope.eu/2011/10/27/georgia-s-political-shake-up-enter-oligarch-pub-45859> .

- 
- <sup>22</sup> Edison Research-ის/ტელეკომპანია „ფორმულას“ მიერ ჩატარებული ეგზიტპოლი საქართველოს ადგილობრივი არჩევნების დროს, 2021 წლის 2 ოქტომბერი (Edison Research-ის მიერ ავტორებისთვის მიწოდებული ინფორმაცია).
- <sup>23</sup> Dustin Gilbreath and Koba Turmanidze, “Are Georgian Voters Polarized?,” CRRC Policy Bulletin, Caucasus Research Resource Center Georgia, October 2020, <https://civil.ge/wp-content/uploads/2020/10/Polarization-brief-6Oct2020.pdf> .
- <sup>24</sup> “Public Attitudes in Georgia: Results of July 2021 Telephone Survey,” National Democratic Institute, 2021, <https://www.ndi.org/sites/default/files/NDI%20Georgia%20-%20Poll%20Results%20-%20July%202021%20Poll%20-%20ENG%20-%20FINAL%20%281%29.pdf>
- <sup>25</sup> “Georgia’s Political Crisis: Actors and Instruments of Polarization,” Caucasus Analytical Digest, Heinrich Böll Stiftung, September 2021, <https://css.ethz.ch/content/dam/ethz/special-interest/gess/cis/center-for-securities-studies/pdfs/CAD123.pdf> .
- <sup>26</sup> ივანიშვილი პოლიტიკურ გეგმებზე, ქვეყნის მოწყობაზე, საგარეო ურთიერთობებსა და პირად თემებზე საუბრობს, Civil Georgia, 21 ოქტომბერი, 2011. ხელმისაწვდომია: <https://old.civil.ge/geo/article.php?id=24679>
- <sup>27</sup> “Study and Research on Election Media Coverage for the 2021 Municipal Elections in Georgia: TV News Monitoring Preliminary Report 5 July - 25 September 2021,” Georgian Charter of Journalistic Ethics, 2021, [http://mediamonitor.ge/uploads\\_script/accounts/doc\\_eng/11\\_GSJ\\_TV\\_NEWS\\_ENG\\_09.2021.pdf](http://mediamonitor.ge/uploads_script/accounts/doc_eng/11_GSJ_TV_NEWS_ENG_09.2021.pdf)
- <sup>28</sup> <https://www.rferl.org/a/georgia-diplomacy-spying-/31492690.html>
- <sup>29</sup> Batiashvili, Xviii
- <sup>30</sup> . “მოსახლეობის 95% არის წინააღმდეგი პროპაგანდისტული მარშის”, Civil.ge, 12 ივლისი, 2021, <https://civil.ge/ka/archives/431681>
- <sup>31</sup> <https://oc-media.org/features/analysis-institutions-need-to-replace-personality-in-georgian-politics/>
- <sup>32</sup> McCoy, J., Somer, M. *Overcoming polarization*. Journal of Democracy, Vol. 32, N.1, January 2021
- <sup>33</sup> [http://mikeladzefoundation.org/uploads/files/2021-04/1619605026\\_sartania\\_georgia-history\\_eng.pdf](http://mikeladzefoundation.org/uploads/files/2021-04/1619605026_sartania_georgia-history_eng.pdf)
- <sup>34</sup> Iliia Roubanis, “Georgia’s Pluralistic Feudalism: A Frontline Report,” OpenDemocracy, July 3, 2009, <https://www.opendemocracy.net/en/georgia-pluralistic-feudalism/> .
- <sup>35</sup> <https://www.euractiv.com/section/eastern-europe/news/michels-mediation-in-georgia-revealed/>
- <sup>36</sup> <https://eurasianet.org/georgia-turns-down-75-million-euros-from-the-eu>